დამტკიცდა აკადემიური საბჭოს 2024 წლის 26 დეკემბრის N13 სხდომის ოქმით, შევიდა ცვლილება აკადემიური საბჭოს 2025 წლის 26 სექტემბრის N9 სხდომის ოქმით

სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებები მოქმედების სფერო და მიზნები

1.1 ეს დებულება განსაზღვრავს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის (შემდგომში ფაკულტეტი) სადოქტორო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღების პროცედურებს, ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის და რეცენზენტების შერჩევის წესებსა და მათ ფუნქცია-მოვალეობებს, სადისერტაციო საბჭოს შედგენისა და საქმიანობის წესს, დოქტორის კვალიფიკაციის/აკადემიური ხარისხის მინიჭების კრიტერიუმებს, სადისერტაციო ნაშრომის დაცვის წესს, ხოლო ამ საკითხებთან დაკავშირებული დავების წარმოშობის შემთხვევაში, მათი გადაჭრისა და მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების წესს და სადოქტორო პროგრამის დაგეგმვასა და განხორციელებასთან დაკავშირებულ სხვა მნიშვნელოვან საკითხებს.

1.2 სადოქტორო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების მიზნები შეესაბამება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კვლევით სტრატეგიასა და მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სტრატეგიას.

1.3 დოქტორანტურის ძირითადი ამოცანაა, უნივერსიტეტის მისიის შესაბამისად, ხელი შეუწყოს:

ა) უნივერსიტეტის სასწავლო და კვლევითი პოტენციალის განვითარებას;

ბ) საკვლევი თემატიკის გათვალისწინებით, ინტერდისციპლინური მიდგომების გამოყენებით თანამშრომლობას;

გ) დარგობრივი, სამეცნიერო ხასიათის თანამშრომლობის/პროფესიული ქსელის ჩამოყალიბებას.

1.4 სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებულს ენიჭება დოქტორის კვალიფიკაცია/აკადემიური ხარისხი, თუ მან წარმატებით შეასრულა პროგრამით განსაზღვრული ყველა მოთხოვნა და განახორციელა ორიგინალური კვლევა, რომელიც აფართოებს ცოდნის საზღვრებს და რომლის შედეგებიც გამოქვეყნდა სამეცნიერო სტატიის სახით სამეცნიერო პერიოდულ გამოცემებში, რომელიც შეესაბამება ამავე დებულებაში მოყვანილ მოთხოვნებს.

1.5 სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების საფუძველს წარმოადგენს უნივერსიტეტში არსებული კვლევითი პოტენციალი, შესაბამისი მიმართულებით წინარე სამეცნიერო საქმიანობის გამოცდილების არსებობა, წარმატებული პრაქტიკა და კვლევის

შედეგები. პროგრამები ხორციელდება უნივერსიტეტში/ფაკულტეტზე არსებული სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების რესურსების გამოყენებით.

1.6 სადოქტორო პროგრამის ფარგლებში კვლევები ხორციელდება უნივერსიტეტში მოქმედი კვლევის ეთიკის ნორმების შესაბამისად, რომელიც ითვალისწინებს შესაბამის სფეროში მოქმედი კვლევის ეთიკის ადგილობრივ და საერთაშორისო სტანდარტებს.

1.7 სფეროს სპეციფიკის გათვალისწინებით, ფაკულტეტი სადოქტორო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში თანამშრომლობს ადგილობრივ და უცხოურ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებთან/ცენტრებთან/უსდ-ებთან, სადოქტორო სკოლებთან, ასევე, საჯარო და კერძო სექტორთან/ინდუსტრიასთან და სხვა პოტენციურ დამსაქმებლებთან.

1.8 სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის კვალიფიკაცია დასტურდება ბოლო 3 წლის განმავლობაში საერთაშორისო ინდექსის მქონე რეფერირებად (peer-reviewed) ჟურნალში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომით, რომელიც ადასტურებს შესაბამის სფეროში მის კომპეტენტურობას. გამონაკლისს შეიძლება წარმოადგენდეს მხოლოდ ტრანსფერული უნარების განმავითარებელი კომპონენტები, რომელთა შემთხვევაში პერსონალის კომპეტენცია შესაძლებელია დადასტურდეს შესაბამის სფეროში პრაქტიკული გამოცდილებით. აღნიშნული გამონაკლისი არ ვრცელდება პროგრამის დარგობრივ და მეთოდოლოგიურ კურსებზე.

1.9 ფაკულტეტი, საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში, შესაძლოა ახორციელებდეს სადოქტორო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებს, რომლებიც ითვალისწინებს სტუდენტების გაცვლას ან ერთობლივი (joint, double) კვალიფიკაციის/ხარისხის მინიჭებას.

მუხლი 2. დარგობრივი კომისია

2.1 დარგობრივი კომისიები იქმნება ფაკულტეტის საბჭოს მიერ, ფაკულტეტის დებულებით განსაზღვრული წესის შესაბამისად, დარგის და მიმართულებების მიხედვით და შედგება უნივერსიტეტის დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პროფესორებისაგან, ასოცირებული პროფესორებისა და ასისტენტ-პროფესორებისგან. დარგობრივი კომისიის წევრებს უნდა ჰქონდეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნით გათვალისწინებული უცხოური ენ(ებ)ის კომპეტენციაც. ყოველი სხდომისთვის კომისიის თავმჯდომარე და მდივანი აირჩევა კომისიის შემადგენლობიდან ღია კენჭისყრით.

2.2 დარგობრივი კომისია მონაწილეობს დოქტორანტურაში მიღებასთან და სწავლასთან დაკავშირებულ პროცესებში, როგორიცაა:

ა) დოქტორანტურაში ჩაბარების მსურველების კვლევითი განაცხადების განხილვა და შეფასება, მათთან ზეპირი გამოცდის ჩატარება;

ბ) დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელ(ებ)ის, თანახელმძღვანელ(ებ)ის დამტკიცება; დოქტორანტის მიერ ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის შეცვლის/დამატების ან მისი სამეცნიერო ხელმძღვანელის მიერ ხელმძღვანელობაზე უარის განაცხადების განხილვა და გადაწყვეტილების მიღება;

გ) პროსპექტუსების დაცვა;

დ) კოლოკვიუმების ფარგლებში დოქტორანტების პროგრესის შეფასება და მათთვის ანგარიშებსა და პრეზენტაციებზე უკუკავშირის მიწოდება;

ე) სადისერტაციო საბჭოს წევრთა სიის, თავმჯდომარის კანდიდატურის და მისი არყოფნის შემთხვევაში – თავჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის კანდიდატურის – წარდგენა ფაკულტეტის საბჭოსათვის;

ვ) სადისერტაციო ნაშრომის შეფასებისთვის რეცენზენტების შერჩევა და ფაკულტეტის საბჭოსათვის წარდგენა;

ზ) დოქტორანტის პუბლიკაციის მის სადისერტაციო თემასთან შესაბამისობის დადგენა და შესაბამისი დასკვნის წარდგენა დეკანისთვის, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისათვის წარდგენის მიზნით;

თ) დოქტორანტის მიერ საკვლევი თემის სათაურის, კვლევის თემატიკის ან მიმართულების შეცვლის განაცხადის განხილვა და გადაწყვეტილების მიღება;

ი) დოქტორანტის სტატუსის აღდგენის შემთხვევაში, მისი კვლევითი თემატიკის აქტუალობის განხილვა დოქტორანტის ხელმძღვანელის წარდგინების, დოქტორანტის კვლევითი განაცხადის, მატერიალური/ინტელექტუალური რესურსების გამოყენების შესახებ პარტნიორი ორგანიზაციის თანხმობის (საჭიროების შემთხვევაში), დაცული პროსპეტუსის ან/და დოქტორანტის მიერ გამოქვეყნებული სამეცნიერო პუბლიკაციების საფუძველზე. აღნიშნული პროცედურა ეხება იმ დოქტორანტებს, რომლებსაც 4 სასწავლო სემესტრით და უფრო ხანგრძლივი პერიოდით ჰქონდა სტატუსი შეჩერებული;

კ) ქართულენოვანი სადოქტორო პროგრამების სტუდენტთა სადისერტაციო ნაშრომის ინგლისურ ენაზე შესრულებისა და დაცვის შესახებ გადაწყვეტილების მიღება;

ლ) დოქტორანტისთვის, სწავლის 5-წლიანი ვადის დასრულების შემდეგ, სასწავლო პერიოდის მაქსიმუმ ერთი აკადემიური წლით გახანგრძლივების საკითხის განხილვა; ამ ვადის გახანგრძლივებაზე დასაბუთებულ გადაწყვეტილებას იღებენ და ფაკულტეტს წარუდგენენ ხელმძღვანელი და დარგობრივი კომისია, ფაკულტეტი კი, თავის მხრივ, მიმართავს რექტორს დოტორანტისათვის სასწავლო პერიოდის გახანგრძლივებაზე.

2.3 საერთაშორისო შეთანხმებით ან/და სხვა პარტნიორული ხელშეკრულების შემთხვევაში

შესაძლებელია დადგინდეს ამ მუხლით განსაზღვრული პირობებისგან განსხვავებული პირობები.

მუხლი 3. დოქტორანტურაში მიღება

3.1. დოქტორანტურაში სწავლის უფლება აქვს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს.

3.2 დოქტორანტურაში მიღებას, დეკანის წარდგინების საფუძველზე, აცხადებს რექტორი; საჭიროების შემთხვევაში, მიღების საკითხი შეიძლება განხილულ იქნას ფაკულტეტის საბჭოზე. მიღება შეიძლება გამოცხადდეს როგორც შემოდგომის, ისე გაზაფხულის სემესტრისათვის. ინფორმაცია სადოქტორო პროგრამებზე მიღების პირობების, ვადებისა და წარსადგენი დოკუმენტების შესახებ ქვეყნდება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

3.3. დოქტორანტურაში სწავლის მსურველებმა უნდა შეავსონ სარეგისტრაციო ფორმა და წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტები:

ა) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ბ) მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის ფლობის დამადასტურებელი საბუთის ასლი (ხუთწლიანი უმაღლესი განათლების დიპლომის ან უცხოეთში მიღებული განათლების დამადასტურებელი დიპლომის შესაბამისობა დადასტურებული უნდა იყოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ);

გ) ავტობიოგრაფია (CV);

დ) 3X4–ზე ფოტოსურათის ელექტრონული ვერსია;

ე) კანდიდატის მიერ შევსებული და მისი პოტენციური ხელმძღვანელის ხელმოწერილი კვლევითი განაცხადი და თანხმობა (განაცხადის და თანხმობის ფორმები ქვეყნდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე, პროგრამაზე ყოველი მიღების გამოცხადებისთანავე);

ვ) პარტნიორი ორგანიზაციის რესურსების გამოყენების შემთხვევაში, ორგანიზაციის თანხმობის ფორმა, ხელმოწერილი მისი წარმომადგენლის მიერ;

ზ) კვლევითი უნარების დადასტურების მიზნით: შესაბამის სფეროში წინარე ნაშრომი/პუბლიკაცია ან/და სამეცნიერო-კვლევით პროექტებსა და ღონისძიებებში მონაწილეობა ან/და შესაბამის სფეროში მუშაობის არანაკლებ ორწლიანი გამოცდილება. კონკრეტული მოთხოვნები განსაზღვრულია თითოეული პროგრამის მიღების წინაპირობებში;

თ) სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტი (მხოლოდ საქართველოს მოქალაქე ვაჟებისთვის);

ი) სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული უცხოური ენ(ებ)ის შესაბამის დონეზე ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომლის მოთხოვნები განსაზღვრულია პროგრამის მიღების დოკუმენტში;

კ) სხვა დოკუმენტები/პირობები, რომელსაც შეიძლება ითხოვდეს ცალკეული პროგრამა.

3.4 მიღების პროცედურები:

3.4.1 საბუთების შემოწმების შემდეგ, ფაკულტეტის ადმინისტრაცია განიხილავს კანდიდატის მიერ სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული უცხოური ენ(ებ)ის კომპეტენციის დამადასტურებელ დოკუმენტ(ებ)ს;

3.4.2 იმ შემთხვევაში, თუ წარმოდგენილი დოკუმენტებით ვერ დგინდება პროგრამით გათვალისწინებული ინგლისური ენის კომპეტენცია, დოქტორანტობის კანდიდატი აბარებს უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ გამოცდას ინგლისურ ენაში (მინიმუმ B2 დონე). ტესტირების მინიმალური ზღვარი დგინდება ყოველი პროგრამისთვის ინდივიდუალურად, მიეთითება პროგრამაზე მიღების პირობებში და მიღების გამოცხადების შესახებ ფაკულტეტის წარდგინებაში;

3.4.3 იმ შემთხვევაში, თუ სადოქტორო პროგრამის მიღების წინაპირობით გათვალისწინებულია გერმანული ენის ფლობა (მინიმუმ B2 დონეზე) და წარმოდგენილი დოკუმენტებით ვერ დგინდება შესაბამისი კომპეტენცია, დოქტორანტობის კანდიდატი აბარებს გამოცდას გერმანულ ენაში (მინიმუმ B2 დონე). ძირითად უცხოურ ენად გერმანული ენის არჩევის შემთხვევაში, დოქტორანტობის კანდიდატს დამატებით მოეთხოვება ინგლისური ენის ცოდნა მინიმუმ B1 დონეზე. ტესტირების მინიმალური ზღვარი დგინდება თითოეული პროგრამისთვის ინდივიდუალურად, მიეთითება პროგრამაზე მიღების პირობებში და მიღების გამოცხადების შესახებ ფაკულტეტის წარდგინებაში;

3.4.4 უცხოური ენ(ებ)ის გამოცდისგან თავისუფლდებიან დოქტორანტობის კანდიდატები, რომლებიც წარმოადგენენ შესაბამისი ენ(ებ)ის ცოდნის დამადასტურებელ ვალიდურ/მოქმედ საერთაშორისო სერტიფიკატ(ებ)ს/საბუთ(ებ)ს, ან შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემულ შესაბამის მოქმედ სერტიფიკატს/ცნობას, რომლითაც დასტურდება კანდიდატის ენობრივი კომპეტენცია შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ დონეზე. გამოცდისგან თავისუფლდებიან ასევე დოქტორანტობის კანდიდატები, რომლებიც წარმოადგენენ საქართველოს ფარგლებს გარეთ ინგლისურენოვანი საბაკალავრო ან სამაგისტრო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების დამადასტურებელ დიპლომს (დიპლომთან ერთად წარმოდგენილი უნდა იყოს განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული დოკუმენტი უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების შესახებ) და პირები, რომლებიც წარმოადგენენ საქართველოში ინგლისურენოვანი საბაკალავრო ან სამაგისტრო პროგრამის დასრულების დამადასტურებელ დიპლომს და დანართს, ან ცნობას პროგრამის განხორციელების ენის შესახებ;

3.4.5 ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი ვალიდური სერტიფიკატების/დოკუმენტის შესაბამისი დონეები და ქულები გაწერილია ცალკეული პროგრამების მარეგულირებელ დოკუმენტებში;

3.4.6 ინგლისური ენის გამოცდის წარმატებით ჩაბარების ან ცოდნის დადასტურების შემდეგ, დოქტორანტობის კანდიდატის მიერ წარმოდგენილი კვლევითი განაცხადი და რეგისტრაციისას წარმოდგენილი დოკუმენტები განსახილველად და შესაფასებლად

იგზავნება შესაბამისი დარგობრივი კომისიის წევრებთან. თუ კანდიდატის პოტენციური ხელმძღვანელი ამავდროულად დარგობრივი კომისიის წევრია, ის კანდიდატის შეფასებაში არ მონაწილეობს. კვლევითი განაცხადის მოთხოვნები, შეფასების კრიტერიუმები და რუბრიკები დგინდება ყოველი პროგრამისთვის ინდივიდუალურად და განთავსდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე ყოველი მიღების გამოცხადებისთანავე. დამაკმაყოფილებელი შეფასების მიღების შემთხვევაში, დოქტორანტობის კანდიდატი დარგობრივ კომისიასთან აბარებს ზეპირ გამოცდას;

3.4.7 დარგობრივი კომისიის მიერ ზეპირი გამოცდა ფასდება წინასწარ განსაზღვრული მოთხოვნების, კრიტერიუმებისა და რუბრიკების მიხედვით, რომლებიც ყოველი პროგრამისთვის დგინდება ინდივიდუალურად და მიღების გამოცხადებისთანავე ქვეყნდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე;

3.4.8 დოქტორანტობის კანდიდატის მიერ მიღებული შეფასებები, პერსონალური მონაცემების დაცვის უზრუნველყოფით, ეტაპობრივად ქვეყნდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე;

3.4.9 დოქტორანტობის კანდიდატს აქვს უფლება, გაასაჩივროს მიღებული შეფასებები მათი გამოქვეყნებიდან 2 სამუშაო დღის განმავლობაში. ინფორმაცია სააპელაციო პროცედურების შესახებ მითითებულია უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებაში და ქვეყნდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე. საპრეტენზიო განაცხადს განიხილავს შესაბამისი სააპელაციო კომისია, რომელიც წინასწარ მტკიცდება ფაკულტეტის საბჭოს მიერ. გასაჩივრების შედეგები, პერსონალური მონაცემების დაცვის უზრუნველყოფით, განთავსდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე;

3.4.10 დოქტორანტობის კანდიდატის ერთიანი სარეიტინგო ქულა ანგარიშდება სადოქტორო პროგრამაზე მიღების დოკუმენტში განსაზღვრული წესის შესაბამისად, ხოლო შეფასების შედეგები, პერსონალური მონაცემების დაცვის უზრუნველყოფით, განთავსდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

მუხლი 4. დოქტორანტის ხელმძღვანელ(ებ)ი/თანახელმძღვანელ(ებ)ი

4.1. დოქტორანტი პოტენციურ ხელმძღვანელ(ებ)ს ირჩევს სადოქტორო პროგრამაზე მიღების პერიოდში. მისი/მათი ხელმძღვანელობის სურვილი დასტურდება კანდიდატის კვლევით განაცხადზე ხელმოწერით.

4.2. დოქტორანტის ხელმძღვანელი, ხოლო რამდენიმე ხელმძღვანელის არსებობის შემთხვევაში, მინიმუმ ერთი ხელმძღვანელი, წარმოადგენს დოქტორის/დოქტორთან გათანაბრებული ხარისხის მქონე, უნივერსიტეტის აკადემიურ (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი) ან/და სამეცნიერო პერსონალს.

4.3 დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელ(ებ)ის საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

ა) აქვს შესაბამის სფეროში აკადემიური ხარისხი;

ბ) არის უახლესი ცოდნით აღჭურვილი, აქვს დოქტორანტის საკვლევი სფეროს შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება, აქტიური მონაწილეობა აქვს მიღებული

სამეცნიერო კვლევებში და ბოლო 3 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული აქვს სულ მცირე 1 სამეცნიერო ნაშრომი უცხოურ თემატურ საერთაშორისო ინდექსის მქონე რეფერირებად (peer-reviewed) ჟურანალში, რომელიც აღიარებულ საერთაშორისო ნუსხებშია შესული (Clarivate Analytics (ყოფილი Thomson Reuters) Master Journal List, Scopus, Ulrich's Index, ERIH PLUS, EBSCOHost, Latindex Catalogue) და რომელიც შეესაბამება დოქტორანტის სადისერტაციო ნაშრომის ზოგად თემატიკას/მიმართულებას;

გ) აქვს დოქტორანტის ხელმძღვანელობის/თანახელმძღვანელობის გამოცდილება ან გავლილი აქვს შესაბამისი ტრეინინგი/სემინარი სამეცნიერო ხელმძღვანელობის ეფექტურობის გასაძლიერებლად;

დ) იმ შემთხვევაში, თუ სადისერტაციო ნაშრომის შესრულება და დაცვა ხდება ინგლისურ ენაზე, სამეცნიერო ხელმძღვანელს უნდა ჰქონდეს ინგლისური ენის კომპეტენციაც; აღნიშნული კომპეტენციის დადგენა წარმოადგენს შესაბამისი დარგობრივი კომისიის კომპეტენციას და ვალდებულებას.

4.4 სადოქტორო პროგრამაზე კანდიდატის ჩარიცხვის შემთხვევაში, ხელმძღვანელს, თანახელმძღვანელს (არსებობის შემთხვევაში), დოქტორანტსა და უნივერსიტეტს შორის ფორმდება სამმხრივი შეთანხმება, რომელშიც განსაზღვრულია თითოეული მხარის უფლება-მოვალეობები.

4.5 შესაძლებელია, დოქტორანტის მეორე ხელმძღვანელი მოწვეული იყოს სხვა, მათ შორის უცხო ქვეყნის, აკადემიური დაწესებულებიდან, საერთაშორისო თანამშრომლობის შეთანხმების ფარგლებში ან დარგობრივი კომისიის გადაწყვეტილებით. მეორე ხელმძღვანელი უნდა აკმაყოფილებდეს 4.3 პუნქტში ხელმძღვანელისთვის განსაზღვრულ ყველა საკვალიფიკაციო მოთხოვნას.

4.6 იმ შემთხვევაში, თუ სამეცნიერო ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი უარს ამბობს დოქტორანტის ხელმძღვანელობაზე/თანახელმძღვანელობაზე, მან არგუმენტირებული, წერილობითი განცხადება უნდა წარუდგინოს ფაკულტეტის დეკანს, რომელსაც დეკანი განსახილველად წარუდგენს დარგობრივ კომისიას. იმ შემთხვევაში, თუ დარგობრივი კომისია დააკმაყოფილებს ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის განცხადებას, დოქტორანტს უნიშნავს ახალ ხელმძღვანელს/თანახელმძღვანელს. დარგობრივი კომისიის შესაბამისი გადაწყვეტილება ეცნობება ხელძღვანელს/თანახელმძღვანელს და დოქტორანტს.

4.7 სამეცნიერო ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის შეცვლის სურვილის შემთხვევაში, დოქტორანტმა არგუმენტირებული მოთხოვნით, წერილობით უნდა მიმართოს ფაკულტეტის დეკანს, რომელსაც დეკანი განსახილველად წარუდგენს დარგობრივ კომისიას. იმ შემთხვევაში, თუ დარგობრივი კომისია დააკმაყოფილებს დოქტორანტის განცხადებას, დოქტორანტს ენიშნება ახალი ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი. დარგობრივი კომისიის შესაბამისი გადაწყვეტილება ეცნობება დოქტორანტსა და ახალ ხელმძღვანელს/თანახელმძღვანელს.

4.8 სამეცნიერო ხელმძღვანელის ძირითადი ფუნქციები და მოვალეობებია:

ა) კვლევით პროცესში დოქტორანტთან რეგულარული კონსულტაციები კვლევის მეთოდოლოგიურ, სტრუქტურულ, კონცეპტუალურ და სხვა საკითხებზე, კერძოდ:

- კვლევის დიზაინის და რელევანტური მეთოდოლოგიის შერჩევა;
- პროექტის მენეჯმენტი;
- თეზისის/სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომის/დისერტაციის წერის პროცესი;
- ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო ქსელში ინტეგრირების პროცესი;
- ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში (მათ შორის, სადოქტორო კოლოკვიუმებში) მონაწილეობისა და შედეგების წარდგენის პროცესი;
- სამეცნიერო ეთიკის საკითხები;
- პროფესიული განვითარება;
- სამეცნიერო სტატიების რეფერირებად ჟურნალში გამოქვეყნება;
- დოქტორანტის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის თანმიმდევრულად შესრულების პროგრესის პერიოდული დაკვირვება, განმავითარებელი შეფასება და უკუკავშირის მიცემა. კონსულტაციების სიხშირე და პერიოდულობა განისაზღვრება ინდივიდუალურად, კვლევის სპეციფიკიდან და დოქტორანტის საჭიროებებიდან გამომდინარე.

4.9 სამეცნიერო ხელმძღვანელი წარმოადგენს დასრულებული სადისერტაციო ნაშრომის შესახებ დასკვნას, რომლითაც აფასებს მის სიახლეს, ადასტურებს შესაბამისობას კვლევის ეთიკისა დააკადემიური კეთილსინდისიერების ნორმებთან და ნაშრომის დაცვისთვის მზაობას.

4.10 დოქტორანტს შეიძლება ჰყავდეს თანახელმძღვანელი, რომლის კვალიფიკაცია უნდა შეესაბამებოდეს დოქტორანტის სადოქტორო ნაშრომის თემატიკას/კვლევის სფეროს. თანახელმძღვანელი მხარდაჭერას უწევს დოქტორანტს სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის განხორციელების პროცესში ხელმძღვანელთან და დოქტორანტთან ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;

მუხლი 5. დოქტორანტურაში სწავლის ხანგრძლივობა და დატვირთვის მოცულობა

5.1 დოქტორანტურაში სწავლის ხანგრძლივობა არანაკლებ 3 და არა უმეტეს 5 წელია, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული ინდივიდუალური გეგმით. იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი ვერ ასრულებს პროგრამის მოთხოვნებს 5 წლის დასრულების შემდეგ, დარგობრივი კომისიის შუამდგომლობით, შესაბამისი პირობების გათვალისწინებით, მას შეიძლება გაუფორმდეს დამატებითი, მაქსიმუმ ერთწლიანი ფასიანი ხელშეკრულება. გამონაკლისის სახით, შეიძლება განხილული იქნას ვადის გახანგრძლივება, რის შესახებაც დასაბუთებულ გადაწყვეტილებას იღებენ დოქტორანტის ხელმძღვანელი და დარგობრივი კომისია.

5.2 სადოქტორო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო და კვლევითი კომპონენტები, მათი თანმიმდევრობა და მოცულობა კრედიტებში (სადაც რელევანტურია) განისაზღვრება ინდივიდუალურად, თითოეული პროგრამისათვის.

5.3 სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტი არ უნდა აღემატებოდეს 60 კრედიტს.

5.4 პროგრამის სტრუქტურიდან გამომდინარე, დოქტორანტს დაცვამდე შესრულებული უნდა ჰქონდეს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კოლოკვიუმების მოთხოვნა. იმ შემთხვევაში, თუ დოქტორანტმა ორჯერ არ შეასრულა კოლოკვიუმზე წარდგენის მოთხოვნა, მას შეუწყდება სტუდენტის სტატუსი აკადემიური ჩამორჩენილობის გამო.

5.5 უნივერსიტეტში შეიძლება არსებობდეს ერთობლივი (მაგ. joint degree, double degree) სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამები, რომელთა პირობები განისაზღვრება შესაბამისი დოკუმენტებით (ხელშეკრულებები, მემორანდუმები, კურიკულუმები და ა.შ.).

მუხლი 6. საერთაშორისო გამოქვეყნების ვალდებულება

6.1. დისერტაციის დაცვამდე დოქტორანტს შესაბამის სფეროში გამოქვეყნებული (ან ჟურნალის რედაქციისგან მიღებული გამოსაქვეყნებლად) უნდა ჰქონდეს არანაკლებ ორი სამეცნიერო სტატია, მათ შორის მინიმუმ ერთი სტატია გამოქვეყნებული უნდა იყოს საერთაშორისო ნუსხებში შესულ (Clarivate Analytics (ყოფილი Thomson Reuters) Master Journal List, Scopus, Ulrich's Index, ERIH PLUS, EBSCOHost, Latindex Catalogue) საერთაშორისო რეფერირებად თემატურ ჟურნალში (საერთაშორისო კონგრესის, სიმპოზიუმის ან კონფერენციის კრებულებში). სამეცნიერო პუბლიკაციაში დოქტორანტის აფილიაციაში მითითებული უნდა იყოს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელი.

6.2 დოქტორანტს ამ მუხლის 1-ელი პუნქტით გათვალისწინებულ საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალში გამოქვეყნების ვალდებულება შესრულებულად ეთვლება იმ შემთხვევაში, თუ მან სტატია გამოაქვეყნა უცხოურ რეფერირებად ჟურნალში ან სტატია გამოაქვეყნა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალ(ებ)ში, რომელიც შესულია 6.1 მუხლით განსაზღვრულ ნუსხებში.

6.3 დოქტორანტი უნდა იყოს ამ დებულების 6.1 მუხლით საერთაშორისო ნუსხებში შესულ საერთაშორისო რეფერირებად თემატურ ჟურნალში გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატიის პირველი ან მეორე ავტორი. დარგობრივი კომისია ფაკულტეტს წარუდგენს სხდომის ოქმს როგორც სადოქტორო ნაშრომთან პუბლიკაციების შესაბამისობის შესახებ, ასევე დოქტორანტის პუბლიკაციების კატეგორიის შესაბამისობას დებულების 6.1 პუნქტის მოთხოვნებთან მიმართებაში. შესაბამისობის დადასტურების შემთხვევაში, პუბლიკაციები ეგზავნება უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, რომელიც ამზადებს დასკვნას ამ

დებულებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან პუბლიკაციების შესაბამისობის შესახებ. დარგობრივი კომისიის ან უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უარყოფითი დასკვნის შემთხვევაში, საერთაშორისო გამოქვეყნების ვალდებულება დოქტორანტს არ ჩაეთვლება დაკმაყოფილებულად.

მუხლი 7. სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის პროცედურა

7.1 დოქტორანტმა სადისერტაციო ნაშრომი, რომელიც შეესაბამება სამეცნიერო პუბლიკაციის სტანდარტებს და შესრულებულია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური სტილის ან კონკრეტული პროგრამის სადოქტორო ნაშრომის კონცეფციით განსაზღვრული, დარგისთვის რელევანტური აკადემიური სტილის შესაბამისად, ელექტრონულ მატარებელზე და, საჭიროების შემთხვევაში, ნაბეჭდი სახით უნდა წარუდგინოს ფაკულტეტის ადმინისტრაციას.

7.2 დისერტაცია შესრულებული უნდა იყოს ქართულ ან ინგლისურ ენაზე. ინგლისურ ენაზე დისერტაციის შესრულების საკითხს (გარდა ინგლისურენოვანი სადოქტორო პროგრამის შემთხვევისა) წყვეტს დარგობრივი კომისია.

7.3 დისერტაციაში ნაწილის სახით უნდა შევიდეს შემაჯამებელი აბსტრაქტი ქართულ და ინგლისურ ენებზე, რომლებშიც წარმოდგენილია სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი სამეცნიერო შედეგები, დასაბუთებულია მათი სამეცნიერო სიახლე, ღირებულება და აქტუალობა შესაბამის სამეცნიერო დისციპლინაში.

7.4 დისერტაცია წარმოდგენილად ჩაითვლება, თუ მას ახლავს:

ა) ცნობა პროგრამის მოთხოვნების შესრულების შესახებ;

ბ) ხელმოწერილი განაცხადი, რომ სადისერტაციო ნაშრომი დოქტორანტის დამოუკიდებელი კვლევის შედეგია და არ შეიცავს პლაგიატს;

გ) დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელ(ებ)ის დასკვნა სადისერტაციო ნაშრომის დაცვისთვის მზაობის (სიახლის, აკადემიური კეთილსინდისიერების ნორმების და სტილის, კვლევის ეთიკის ნორმების დაცვის) შესახებ;

დ) ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის და შესაბამისი დარგობრივი კომისიის დასკვნები დოქტორანტის საერთაშორისო პუბლიკაციების ამ დებულების მე-6 მუხლით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ.

7.5 პროგრამის სტრუქტურიდან გამომდინარე, დოქტორანტს დაცვამდე შესრულებული უნდა ჰქონდეს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კოლოკვიუმების ვალდებულება.

7.6 სადისერტაციო ნაშრომის წარდგენასთან და დაცვასთან დაკავშირებული ვადები ასახულია ინდივიდუალური სადოქტორო პროგრამების ფარგლებში შემუშავებულ კალენდარში/მატრიცაში.

მუხლი 8. რეცენზენტების შერჩევა, დამტკიცება და მათ მიერ სადისერტაციო ნაშრომის შეფასება

8.1 დოქტორანტის მიერ დისერტაციის და 7.4 მუხლში ჩამოთვლილი დოკუმენტების წარდგენის შემდეგ, ფაკულტეტის ადმინისტრაცია ნაშრომისთვის რეცენზენტების და სადისერტაციო საბჭოს წევრების შერჩევის მიზნით მიმართავს შესაბამისი სფეროს დარგობრივ კომისიას. დარგობრივი კომისია გონივრულ ვადაში მიმართავს ფაკულტეტის საბჭოს სადისერტაციო საბჭოსა და რეცენზენტების (მინიმუმ ორი) დამტკიცების თხოვნით; რეცენზენტებს შორის უნდა იყოს მინიმუმ ერთი საერთაშორისო რეცენზენტი. საერთაშორისო რეცენზენტის დასკვნა სავალდებულო არ არის, თუ დოქტორანტს ჰყავს საერთაშორისო ხელმძღვანელი ან ნაშრომი მომზადებულია ქართული ან აფხაზური ფილოლოგიის სფეროში.

8.2 იმ შემთხვევაში, თუ სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულია ინგლისურ ენაზე, რეცენზენტებს უნდა ჰქონდეთ ინგლისური ენის კომპეტენცია. აღნიშნული კომპეტენციის დადგენის პასუხიმგებლობა ეკისრება დარგობრივ კომისიას.

8.3 რეცენზენტების ნომინირებისას დარგობრივი კომისია ხელმძღვანელობს შემდეგი მოთხოვნებით:

ა) ადგილობრივი რეცენზენტი უნდა იყოს ადგილობრივი უნივერსიტეტის, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის/ცენტრის პერსონალი (პროფესორი/ასოცირებული პროფესორი/ასისტენტ-პროფესორი/ პროფესორ-ემერიტუსი/მეცნიერ-თანამშრომელი), ხოლო საერთაშორისო რეცენზენტი – უცხოური უნივერსიტეტის, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის/ცენტრის პერსონალი ან ემერიტუსის სტატუსის მქონე პირი. როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო რეცენზენტს უნდა ჰქონდეს დოქტორის აკადემიური ხარისხი, დოქტორანტის საკვლევი თემის შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება და დარგის სპეციფიკიდან და განვითარებიდან გამომდინარე, უნდა იყოს უახლესი ცოდნით აღჭურვილი, აქტიური მონაწილეობა ჰქონდეს მიღებული სამეცნიერო კვლევებში და ბოლო 3 წლის განმავლობაში საერთაშორისო ინდექსის მქონე რეფერირებად ჟურნალში ჰქონდეს გამოქვეყნებული მინიმუმ 1 სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც შეესაბამება დოქტორანტის სადისერტაციო ნაშრომის ზოგად თემატიკას/კვლევის სფეროს;

ბ) რეცენზენტებსა და დოქტორანტს შორის არ უნდა არსებობდეს ინტერესთა კონფლიქტი (მაგ. მიმდინარე პროექტებში თანამშრომლობა და სხვა), რაც რეცენზენტობის კანდიდატმა უნდა დაადასტუროს ხელმოწერილი წერილით.

8.4 რეცენზენტების შერჩევის პროცესში არ მონაწილეობენ დოქტორანტის ხელმძღვანელ(ებ)ი/თანახელმძღვანელი. რეცენზენტების ვინაობა უცნობი რჩება დოქტორანტისთვის მათი შეფასების მიღების მომენტამდე.
8.5 რეცენზენტების კანდიდატურები ნომინირების შემდეგ მტკიცდება ფაკულტეტის საბჭოს მიერ, რის შემდეგაც მათ ეგზავნებათ სადოქტორო ნაშრომი სიახლის და დაცვისთვის მზაობის შესაფასებლად.

8.6 რეცენზენტებს დასკვნის და უკუკავშირის მოსამზადებლად ეძლევათ გონივრული ვადა (მაქსიმუმ 2 თვე).

8.7 რეცენზენტების დასკვნები ეგზავნებათ დოქტორანტს, მის სამეცნიერო ხელმძღვანელ(ებ)ს, თანახელმძღვანელს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და სადისერტაციო საბჭოს წევრებს.

8.8 რეცენზენტების ერთი ან ორივე დადებითი დასკვნის შემთხვევაში ინიშნება ნაშრომის საჯარო დაცვა, ხოლო რეცენზენტების ორი უარყოფითი დასკვნის შემთხვევაში, ნაშრომი უბრუნდება დოქტორანტს შემდგომი გადამუშავებისთვის მიცემული უკუკავშირის გათვალისწინებით. დოქტორანტმა უნდა წარადგინოს გადამუშავებული ნაშრომი მაქსიმუმ ერთი კალენდარული წლის განმავლობაში, მიუხედავად სტუდენტის სტატუსისა. აღნიშნული ვადის ამოწურვის შემდეგ, იმ შემთხვევაში, თუ დოქტორანტი არ წარმოადგენს გადამუშავებულ ნაშრომს, ან მის მიერ წარმოდგენილი ნაშრომი კვლავ უარყოფითად შეფასდება ორივე რეცენზენტის მიერ, დოქტორანტს აკადემიური ჩამორჩენილობის გამო უწყდება სტუდენტის სტატუსი.

მუხლი 9. სადისერტაციო საბჭო

9.1 სადისერტაციო საბჭო არის დოქტორის კვალიფიკაციის/აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი ორგანო.

9.2 სადისერტაციო საბჭო იქმნება ყოველი კონკრეტული დისერტაციის განხილვისა და დოქტორის აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების მიზნით; სადისერტაციო საბჭოს ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო დარგობრივი კომისიის წარდგინებით.

9.3 სადისერტაციო საბჭოები შედგება ფაკულტეტის შესაბამისი დარგის/სპეციალობის პროფესორების, ასოცირებული პროფესორებისა და ასისტენტ-პროფესორებისგან, აგრეთვე დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის შესაბამისი დარგის/სპეციალობის უფროსი მეცნიერი თანამშრომლისა და მთავარი მეცნიერი თანამშრომლისგან (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომლებსაც აქვთ დოქტორის აკადემიური ხარისხი და რომელთა კვალიფიკაცია და კომპეტენცია იძლევა ნაშრომის სიღრმისეულად და სრულყოფილად შეფასების და კვლევის ორიგინალობისა და მისი შედეგების შეფასების შესაძლებლობას. სადისერტაციო საბჭოს შემადგენლობაში უზრუნველყოფილია გარე შემფასებლების მონაწილეობა. სადისერტაციო

საბჭოს მუშაობაში არ მონაწილეობენ დოქტორანტის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები, თანახელმძღვანელი და რეცენზენტები.

9.4 სფეროს თავისებურების გათვალისწინებით, სადისერტაციო საბჭოს შემადგენლობაში, საჭიროების შემთხვევაში, შედიან შესაბამისი კვალიფიკაციის და კომპეტენციის საერთაშორისო შემფასებელი/შემფასებლები, შრომის ბაზრის, სამთავრობო/არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლე(ებ)ი.

9.5 სადისერტაციო საბჭოს შემადგენლობაში შედის მინიმუმ ერთი გარე შემფასებელი, რომელიც უნდა იყოს დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე ან მასთან გათანაბრებული შესაბამისი დარგის წარმომადგენელი მკვლევარი/აკადემიური პერსონალი/მეცნიერი თანამშრომელი, რომელსაც დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, აქტიური მონაწილეობა აქვს მიღებული სამეცნიერო კვლევებში და გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო ნაშრომ(ებ)ი, რომლებიც შეესაბამება დოქტორანტის სადისერტაციო ნაშრომის ზოგად თემატიკას/მიმართულებას. მისი მოწვევა უნდა მოხდეს შემდეგი წესის დაცვით: დარგობრივი კომისია მოიძიებს სადისერტაციო საბჭოს პოტენციურ წევრს და მისი წერილობითი თანხმობის შემთხვევაში, დამტკიცების მიზნით წარუდგენს ფაკულტეტის საბჭოს მის კანდიდატურას სადისერტაციო საბჭოს წევრობის სხვა კანდიდატურებთან ერთად.

9.6 მოწვეულ წევრთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს სადისერტაციო საბჭოში უნივერსიტეტიდან წარმოდგენილ წევრთა რაოდენობას.

9.7 სადისერტაციო საბჭოს წევრობის კანდიდატთა სიას ფაკულტეტის საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს შესაბამისი დარგობრივი კომისია. ასევე, დარგობრივი კომისია ფაკულტეტის საბჭოს ასარჩევად წარუდგენს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის კანდიდატურას და, მისი არყოფნის შემთხვევაში, თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის კანდიდატურას.

9.8 იმ შემთხვევაში, თუ დოქტორანტი სადისერტაციო ნაშრომს იცავს ინგლისურ ენაზე, სადისერტაციო საბჭოს წევრებს უნდა ჰქონდეთ ინგლისური ენის კომპეტენცია. აღნიშნული კომპეტენციის დადგენის პასუხიმგებლობა ეკისრება დარგობრივ კომისიას.

9.9 ფაკულტეტის საბჭოს მიერ სადისერტაციო საბჭოს დამტკიცების შემდეგ, მისი შემადგენლობა ეცნობება დოქტორანტს და მის ხელმძღვანელს. შესაბამისი საფუძვლის არსებობის შემთხვევაში, დოქტორანტს/ხელმძღვანელს უფლება აქვს, აცილება მისცეს სადისერტაციო საბჭოს წევრს/წევრებს, რა შემთხვევაშიც ის არგუმენტირებულ განცხადებას წერს ფაკულტეტის დეკანის სახელზე. განცხადება განიხილება დარგობრივი კომისიის მიერ დეკანის მონაწილეობით. მიღებული გადაწყვეტილება ეცნობებათ დოქტორანტს და მის ხელმძღვანელს. სადისერტაციო საბჭოს წევრი/წევრები შეიძლება შეიცვალონ იმ პრინციპით, რა პრინციპითაც იქმნება სადისერტაციო საბჭო.

9.10 სადისერტაციო საბჭო გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
9.11 ფაკულტეტის საბჭოს მიერ დამტკიცებული სადისერტაციო საბჭო თავისი შემადგენლობიდან საბჭოს მდივანს ირჩევს ღია კენჭისყრით, რაც, როგორც გადაწყვეტილება, აისახება სადისერტაციო საბჭოს ოქმში.

9.12 სადისერტაციო საბჭოს სხდომის მიმდინარეობა ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ საბჭოს თავმჯდომარე და მდივანი. ოქმს ასევე თან ახლავს სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე დამსწრე წევრთა ხელმოწერები.

მუხლი 10. სადისერტაციო ნაშრომის შეფასება და დაცვა

10.1 დისერტაციის დაცვა არის საჯარო და ხდება სადისერტაციო საბჭოს წინაშე. დისერტაციის დაცვის შესახებ ინფორმაცია (ადგილი, დრო, თარიღი) ქვეყნდება უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე ნაშრომის დაცვამდე ერთი კვირით ადრე.

10.2 დისერტაციის დაცვის ენა არის ქართული, თუ დარგობრივი კომისიის გადაწყვეტილებით, საერთაშორისო შეთანხმებით ან/და სხვა პარტნიორული ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის დადგენილი.

10.3 დისერტაციის დაცვის პროცესის ხანგრძლივობას და რეგლამენტს ადგენს სადისერტაციო საბჭო.

10.4 დისერტაციის დაცვის პროცესი ითვალისწინებს დოქტორანტის მიერ ნაშრომის წარდგენას, რეცენზიების მოსმენას, სამეცნიერო კამათს და სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებას.

10.5 ხელმძღვანელს აქვს დისერტაციის დაცვაზე დასწრების უფლება, თუმცა ის არ მონაწილეობს დაცვის პროცესში. დისერტაციის და დოქტორანტის შესახებ ის მოსაზრებას გამოთქვამს იმ შემთხვევაში, თუ სადისერტაციო საბჭო მას შეკითხვით მიმართავს.

10.6 სადისერტაციო ნაშრომი ფასდება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა შეფასების, კრედიტების მინიჭების, რეიტინგისა და დამატებით/განმეორებით კურსებზე/კომპონენტებზე თანხის გადახდის განსაზღვრის წესის შესაბამისად.

10.7 სადისერტაციო საბჭოს მიერ ნაშრომის შეფასებისთვის გამოიყენება შესაბამისი კრიტერიუმები, რომელიც განსაზღვრულია ინდივიდუალური სადოქტორო პროგრამების დოკუმენტებში.

10.8 სადისერტაციო ნაშრომის შეფასება მიმდინარეობს შემდეგი სისტემით:

ა) ფრიადი (summa cum laude) – შესანიშნავი ნაშრომი;

ბ) ძალიან კარგი (magna cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება;

გ) კარგი (cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;

დ) საშუალო (bene) – საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს;

ე) დამაკმაყოფილებელი (rite) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს;

ვ) არადამაკმაყოფილებელი (insufficient) – არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს;

ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.

10.9 სადისერტაციო საბჭოს წევრების მიერ სადისერტაციო ნაშრომის შეფასება ხდება წევრთა მსჯელობისა და კონსენსუსის გზით, რეცენზენტების დასკვნების გათვალისწინებით.

10.10 სადისერტაციო საბჭოს მსჯელობას და საბოლოო შეფასებაზე შეთანხმებას არ ესწრება არცერთი გარე პირი, მათ შორის ფაკულტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენელიც.

10.11 შეფასებას აცხადებს საჯაროდ სადისერტაციო საბჭოს თავჯდომარე.

10.12 თუ დოქტორანტმა მიიღო უარყოფითი შეფასება ვ) „არადამაკმაყოფილებელი“ (insufficient) – არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს“, მან გადამუშავებული ნაშრომი უნდა წარადგინოს ერთი კალენდარული წლის განმავლობაში, მიუხედავად სტუდენტის სტატუსისა. აღნიშნული ვადის ამოწურვის შემდეგ, იმ შემთხვევაში, თუ დოქტორანტი არ წარმოადგენს გადამუშავებულ ნაშრომს, დოქტორანტს აკადემიური ჩამორჩენილობის გამო უწყდება სტუდენტის სტატუსი. ხოლო, თუ დოქტორანტმა მიიღო შეფასება - ზ) „სრულიად არადამაკმაყოფილებელი“ (sub omni canone) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს“ მან უნდა წარადგინოს ახალი ნაშრომი სადისერტაციო საბჭოს მიერ დადგენილ ვადებში. იმ შემთხვევაში, თუ დოქტორანტი არ წარმოადგენს ახალ ნაშრომს დადგენილ ვადებში, მას აკადემიური ჩამორჩენილობის გამო შეუწყდება სტუდენტის სტატუსი.

10.13 დოქტორანტის მიერ 10.12 მუხლით გათვალისწინებული უფლების გამოყენების შემდეგ, სადისერტაციო საბჭოს მიერ კვლავ „არადამაკმაყოფილებელი ან სრულიად არადამაკმაყოფილებელი შეფასების მირების შემთხვევაში"გადაწყვეტილების მიღების

შემთხვევაში, დოქტორანტს უწყდება სტუდენტის სტატუსი სწავლის შედეგების მიუღწევლობის გამო;
10.14 პარტნიორული, ადგილობრივი ან საერთაშორისო თანამშრომლობის შემთხვევაში, დისერტაციის დაცვის ორგანიზების საკითხი (საჭიროების შემთხვევაში) დარეგულირდება საერთაშორისო, ადგილობრივი, ან საპარტნიორო შეთანხმებით.

მუხლი 11. ადმინისტრაციული მხარდაჭერა

.სადისერტაციო საბჭოს და დარგობრივი კომისიების ადმინისტრაციულ მხარდაჭერას ისევე, როგორც ყველა სახის საქმისწარმოებას უზრუნველყოფს ფაკულტეტის ადმინისტრაცია.

მუხლი 12. მობილობა დოქტორანტურაში

12.1 დოქტორანტურაში პირი შეიძლება ჩაირიცხოს მობილობით საქართველოში მოქმედი კანონმდებლობისა და საუნივერსიტეტო წესის მიხედვით, პროგრამის წინაპირობების დაცვით.

12.2 ჩარიცხვისა და კრედიტების აღიარების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ფაკულტეტი და მიღებულ გადაწყვეტილებას წარუდგენს რექტორს.

12.3 იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი ახორციელებს საერთაშორისო მობილობას, სასწავლო კომპონენტის ფარგლებში, მას უფორმდება შესაბამისი შეთანხმება (learning agreement). პროგრამის კომპონენტებში შეთანხმებით განსაზღვრული კრედიტების გათვალისწინება ხდება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ კრედიტების აღიარების შემდეგ.

12.4. პარტნიორული, ადგილობრივი ან საერთაშორისო თანამშრომლობის შემთხვევაში, შესაძლებელია დადგინდეს ამ მუხლით განსაზღვრულისგან განსხვავებული პირობები.

მუხლი 13. ხარისხის მინიჭება და გამოქვეყნების ვალდებულება

13.1 დოქტორანტს აკადემიურ ხარისხს/კვალიფიკაციას ანიჭებს სადისერტაციო საბჭო.

13.2 დოქტორანტს შეუძლია სადისერტაციო საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება გამოცხადებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში გაასაჩივროს ფაკულტეტის დეკანთან წერილობითი საპრეტენზიო განაცხადით, რომელშიც დასაბუთებული იქნება გასაჩივრების მიზეზი და დასახელებული იქნება ის პროცედუალური დარღვევები, რომელიც საფუძვლად უნდა დაედოს შეფასების გადახედვას.

13.3 ფაკულტეტის დეკანი განიხილავს საპრეტენზიო განაცხადს შესაბამისი სფეროს დარგობრივ კომისიასთან. დარგობრივი კომისია წყვეტს, არსებობს თუ არა ნაშრომის განმეორებით განხილვის მიზეზები და ასეთის არსებობის შემთხვევაში, არგუმენტირებულად უგზავნის სადისერტაციო საბჭოს შემდგომი შეფასებისთვის.

13.4 ფაკულტეტის ადმინისტრაცია ვალდებულია, დისერტაციის დაცვის და კვალიფიკაციის მინიჭების შემდეგ ერთი თვის ვადაში ატვირთოს დისერტაცია უნივერსიტეტის/ფაკულტეტის ვებგვერდზე.
13.5 დოქტორის აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომი გაიცემა დისერტაციის უნივერსიტეტის ვებგვერდზე ატვირთვის შემდეგ.

13.6 მიმდინარე სადისერტაციო ნაშრომების თემატიკის და დაცული დისერტაციების შესახებ ინფორმაცია განთავსდება ერთიან ელექტრონულ პორტალზე, მისი ამოქმედების შემდეგ.

მუხლი 14. დავები

დოქტორანტურაში სწავლის პროცესში წარმოქმნილ ნებისმიერ პრობლემას, დეკანის სახელზე წარდგენილი წერილობითი განცხადების საფუძველზე, განიხილავს დარგობრივი კომისია.

მუხლი 15. დოქტორანტის სტატუსის შეწყვეტა/შეჩერება

15.1 დოქტორანტს სტატუსი უჩერდება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის სტატუსის მარეგულირებელი წესის შესაბამისად.

15.2 დოქტორანტს სტატუსი უწყდება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის სტატუსის მარეგულირებელი წესის, ამ დებულებისა და ქვემოთ მოცემულ შემთხვევებში:

ა) აკადემიური ჩამორჩენილობის გამო, რაც გულისხმობს:

ა.ა) დოქტორანტის მიერ ზედიზედ ორჯერ პროსპექტუსის დაუცველობას;

ა.ბ) კოლოკვიუმის ვალდებულების ორჯერ შეუსრულებლობას;

ა.გ) ორი რეცენზენტის მიერ უარყოფითად შეფასებული ნაშრომის გადამუშავებული ვარიანტის ორივე რეცეზენტის მიერ ხელახლა უარყოფითად შეფასებას;

ა.დ) გადამუშავებული/ახალი ნაშრომის არწარმოდგენას ამ დებულების 8.8 მუხლისა და 10.12 მუხლის მოთხოვნების შესაბამისად;

ა.ე) დოქტორანტის მიერ 10.12 მუხლით გათვალისწინებული უფლების გამოყენების შემდეგ, სადისერტაციო საბჭოს მიერ კვლავ უარყოფითი გადაწყვეტილების მიღებას;
ა.ვ) სადისერტაციო საბჭოს შეფასების გასაჩივრების შემდეგ სადისერტაციო საბჭოს მიერ უარყოფითი გადაწყვეტილების მიღების ძალაში დატოვებას;
ა.ზ) დოქტორანტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობას დამატებითი ერთწლიანი ხელშეკრულების დასრულების შემდეგ.

ბ) თუ დოქტორანტის მიერ დარღვეულია უნივერსიტეტში მოქმედი ეთიკის კოდექსი და სხვა საუნივერსიტეტო წესები;
გ) თუ დადასტურდა პლაგიატის ან მონაცემების გაყალბების შემთხვევა.

მუხლი 16. დოქტორის აკადემიური ხარისხის ბათილობა

16.1 სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებულის მხრიდან აკადემიური და კვლევითი ეთიკის ნორმების დარღვევის შემთხვევები განიხილება დარგობრივი კომისიის მიერ.
16.2 დარგობრივი კომისია, საჭიროების შემთხვევაში, შუამდგომლობით მიმართავს ფაკულტეტის საბჭოს, რათა მან შექმნას სადისერტაციო საბჭო, რომელიც იმსჯელებს დოქტორის აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის ბათილად ცნობის შესახებ.

მუხლი 17. დოქტორანტურაში სწავლის საფასური

17.1 სადოქტორო პროგრამის მოთხოვნების ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული ვადების შესაბამისად დაკმაყოფილების შემთხვევაში, საქართველოს მოქალაქისთვის დოქტორანტურაში სწავლა უფასოა 5 წლის განმავლობაში. სწავლა ფასიანია უცხო ქვეყნის მოქალაქისთვის გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა. შესაძლებელია აგრეთვე, დოქტორანტურაში მიღება გამოცხადდეს ფასიან ადგილებზე.

17.2 დოქტორანტურაში სწავლის შესაბამისი სემესტრიდან სადოქტორო პროგრამის მოთხოვნების ვადაში შეუსრულებლობისას ამ მუხლის 17.3 მუხლის შესაბამისად, ან სწავლის მეექვსე წლიდან დოქტორანტმა უნდა გადაიხადოს იმ დროისათვის დადგენილი სწავლის საფასური.

17.3 თუ დოქტორანტს ჩარიცხვიდან და სწავლის დაწყებიდან 1 წლის შემდეგ არ ექნება დაცული პროსპექტუსი (განმეორებითი დაცვის შემდეგაც), ან სადოქტორო ნაშრომის დაცვისას სადისერტაციო საბჭოსგან მიიღებს ,,სრულიად არადამაკმაყოფილებელ“ ან ,,არადამაკმაყოფილებელ“ შეფასებას, მან უნდა გადაიხადოს სწავლის საფასური ყოველი შემდეგი

სემესტრისათვის უნივერსიტეტში დადგენილი საფასურის რაოდენობითა და წესით. იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულების მიზნით, 5 წლის შემდეგ დამატებით აფორმებს ერთწლიან ხელშეკრულებას, მას ეკისრება სწავლის გადასახადი ხელშეკრულების გაფორმების დროისთვის განსაზღვრული სწავლის გადასახადის ოდენობით. იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტმა ვერ შეასრულა პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნები დამატებითი კონტრაქტის დასრულების შემდეგ, მას უწყდება სტუდენტის სტატუსი.

მუხლი 18. გარდამავალი დებულებები

18.1 ამ დებულების 6.1. მუხლით განსაზღვრული ორი სტატიის გამოქვეყნების ვალდებულება არ ვრცელდება მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე 2024 წლის 1 აგვისტოს ჩათვლით კანონმდებლობით დადგენილი წესით სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ დოქტორანტებზე. დოქტორანტს ვალდებულება შესრულებულად ეთვლება, თუ წარმოადგენს ერთ სამეცნიერო სტატიას, რომელიც აკმაყოფილებს ამ დებულების 6.1 და 6.2 მუხლით განსაზღვრულ მოთხოვნებს და მიენიჭებათ სადოქტორო ხარისხი 2028-2029 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის ბოლომდე.

18.2 ამ დებულების 6.1. მუხლით განსაზღვრული სტატიების გამოქვეყნების ვალდებულება არ ვრცელდება მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე 2024 წლის 1 აგვისტოს ჩათვლით კანონმდებლობით დადგენილი წესითა და საერთაშორისო შეთანხმებისა ან/და სხვა პარტნიორული ხელშეკრულებით სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ დოქტორანტებზე, თუ მათ დოქტორის ორმაგი ხარისხი მიენიჭებათ 2028-2029 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის ბოლომდე.

18.3 წინამდებარე დებულების 4.3 მუხლის ბ) ქვეპუნქტით გათვალისწინებული დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის შერჩევის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, ამავე დებულების 8.3. მუხლის ა) ქვეპუნქტით გათვალისწინებული ადგილობრივი რეცენზენტის მიერ ბოლო 3 წლის განმავლობაში საერთაშორისო ინდექსის მქონე რეფერირებად ჟურნალში მინიმუმ 1 სამეცნიერო ნაშრომის გამოქვეყნების ვალდებულება და 8.1 და 8.3 პუნქტებით გათვალისწინებული საერთაშორისო რეცენზენტის დასკვნის ვალდებულება არ ეხება იმ დოქტორანტებს, რომლებიც ჩაირიცხნენ მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამებზე 2024 წლის 1 აგვისტომდე და მიენიჭებათ სადოქტორო ხარისხი 2028-2029 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის ბოლომდე.

18.4 იმ დოქტორანტების სამეცნიერო ხელმძღვანელის შერჩევისას, რომლებიც ჩაირიცხნენ ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამებზე 2024 წლის 1 აგვისტომდე და მიენიჭებათ სადოქტორო

ხარისხი 2028-2029 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის ბოლომდე, წინამდებარე დებულების 4.3 მუხლის ბ) ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საკვალიფიკაციო მოთხოვნის ნაცვლად გათვალისწინებული იყოს შემდეგი მოთხოვნა:
დოქტორანტის ხელმძღვანელს უნდა ჰქონდეს საკვლევი მიმართულების შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება და უნდა იყოს უახლესი ცოდნით აღჭურვილი; დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, აქტიური მონაწილეობა უნდა ჰქონდეს მიღებული სამეცნიერო კვლევებში და გამოქვეყნებული ჰქონდეს სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც შეესაბამება დოქტორანტის სადისერტაციო ნაშრომის ზოგად თემატიკას/მიმართულებას.

18.5 სამეცნიერო ხელმძღვანელის ცვლილებისას, სამეცნიერო ხელმძღვანელის შერჩევა უნდა მოხდეს ამ დებულების 4.3 პუნქტით განსაზღვრული ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისად, მიუხედავად დოქტორანტის ჩარიცხვის თარიღისა.